11/07/2025

MES 4 25 0000856841

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი: 27.06.2025**
**სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ**
**სხდომის დასრულების დრო: 18:45 სთ**
**საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე (I, III, IV, V, VI)**
**სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი (II)**
**საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) $27^2$-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **ლევან შავაძე** - სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - **საბჭოს მდივანი;**
4. **ბონდო გასვიანი** - შპს საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **დავით კაპანაძე** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
6. **თამარ ზარანდია** - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
7. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;

8. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი;
9. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
10. **მზია წიკლაური** - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
11. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
12. **ციური დურული** - სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
13. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:**

1. **ედვინი სირბილაძე -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
2. **ნანა კავლელაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
3. **გვანცა ძიძიგური -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

***სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი***

1. **ნინო ჟვანია** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. **ელენე ჟურავლიოვა** - დეკანი;
3. **თამარ ბარბაქაძე** - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. **დავით თარხნიშვილი**- პროგრამის ხელმძღვანელი;
5. **ნილს ჰაინი** - ასოცირებული პროფესორი (პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი);
6. **ანი ცხადაძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

***სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი***

1. **შალვა ჭკადუა** - ასოცირებული პროფესორი, რექტორი;
2. **ირმა შიოშვილი** - პროფესორი, რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
3. **მზია მაისურაძე** - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე;
4. **სალომე თათულიშვილი** - ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
5. **მზია ღაღოლიშვილი** - პროფესორი, აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
6. **მაგდა დავითშვილი** - პროფესორი, ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;

7. **თამარ ნადირაძე** - პროფესორი, ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
8. **დარეჯან მარგალიტაშვილი -** ასისტენტ პროფესორი.

*სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

1. **ვლადიმერ ღლონტი** - პროფესორი**,** ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. **რუსუდან ხუხუნაიშვილი** - პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი;
3. **ინგა დიასამიძე -** ასოცირებული პროფესორი**,** ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
4. **თეა ქოიავა -** ასოცირებული პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

*სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

1. **მელორ ალფენიძე** - პროგრამის თანახელმძღვანელი, პროფესორი;
2. **ანტონ ჩიქოვანი** - პროგრამის თანახელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
3. **ეკა ესებუა** - ასოცირებული პროფესორი;
4. **ნესტან კეკელია** - ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
5. **მარინა ზარქუა** - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
6. **რომეო გალდავა** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.

*სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

1. **ივანე ჯაგოდნიშვილი -** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. **ნოე ხოზრევანიძე -** მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხელმძღვანელი, „მთის სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
3. **ნანა ახალაია -** მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

*შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი*

1. **გიორგი მახარაშვილი** - პრორექტორი ადმინისტრაციის დარგში;
2. **სალომე კუჭუხიძე** - პრორექტორი სასწავლო დარგში;
3. **ირაკლი შამათავა** - სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;
4. **ქეთევან ქოქრაშვილი** - სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
5. **ანა გვრიტიშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

**აკრედიტაციის ექსპერტები, რომლებიც** მონაწილეობდნენ საკითხების **შეფასებაში**

- ციცინო თურქაძე (I, IV, V საკითხები);
- თამთა თურქაძე (I საკითხი);

- ლიკა კვინჩია (I საკითხი);
- ინგა დიასამიძე (II საკითხი);
- სანდრო ტაბატაძე (II საკითხი);
- მარიამ მაჭავარიანი (II საკითხი);
- ალა ალექსანიანი (Alla Aleksanyan) (III, IV საკითხები);
- მაია აზმაიფარაშვილი (III, IV საკითხები);
- აკაკი ჩალათაშვილი (III საკითხი);
- ია ნაცვლიშვილი (III საკითხი);
- თინათინ გაბრჩიძე (IV საკითხი);
- რიმა ისაიფანი (Rima Isaifan) (V საკითხი);
- თინათინ გაბრიჩიძე (V საკითხი);
- გიზო უჩაიძე (V საკითხი);
- ილია წიკლაური (VI საკითხი);
- გიორგი ამირანაშვილი (VI საკითხი).

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომა გახსნა და პირველ, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე საკითხებს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ - **ლევან შავაძემ**, ხოლო მეორე საკითხს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ - **ქე თევან აფთარაშვილმა**.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს სხდომადაიწყო: 14:00 საათზე.**

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთის სოფლის მდგრადი განვითარების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- **არა**

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3.სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის "საბაკალავრო" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთის სოფლის მდგრადი განვითარების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

**პირველი საკითხი:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** ეკოლოგია;
**საფეხური:** დოქტორანტურა;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ეკოლოგიის დოქტორი;
**დეტალური სფეროს კოდი:** 0521 გარემოსმცოდნეობა;
**სწავლების ენა:** ინგლისური;
**კრედიტების რაოდენობა:** 30;
**სტატუსი:** აკრედიტებული.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**
**თვითაცილება განაცხადეს მაქსიმ იავიჩმა და ბონდო გასვიანმა.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათიპოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მლადენ ქრაიაჩიჩი (Mladen Krajacic) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს არ ესწრებოდა. მისი პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წერილის სახით თარჯიმანმა, ანა ადამიამ გააცნო.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ინსტიტუციის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებებ ი ექსპერტთა დასკვნის მიმართ.**

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ, აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა გაცემულ რეკომენდაციას და ხაზი გაუსვა, რომ დოკუმენტების წარდგენის დროს დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი, რადგან სილაბუსების ახალი ვერსიით შეცვლა გუნდს გამორჩა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ, არსებობის შემთხვევაში, კითხ ვები და მოსაზრებები.**

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ, დაწესებულებას კითხვით მიმართა პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. დოკუმენტებში მითითებული იყო, რომ პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა შეადგენდა 6-10 სემესტრს და 30 კრედიტს. მას აინტერესებდა, როგორ ხორციელდებოდა ეს პრაქტიკაში. მაგალითად, რა ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი 6 სემესტრის განმავლობაში ვერ წარადგენდა სადოქტორო ნაშრომს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დოქტორანტის ჩარიცხვის შემდეგ მასთან იდებოდა ხელშეკრულება 10 სემესტრზე. დოქტორანტს ჰქონდა 10 სემესტრის გამოყენების უფლება, თუმცა ნაშრომის წარდგენა შეეძლო 6 სემესტრის შემდეგ. მისი თქმით, უნივერსიტეტს გააჩნდა პროგრამა, რომლის მეშვეობითაც დგინდებოდა, მიმდინარეობდა თუ არა დოქტორანტის განვითარება. მერვე სემესტრის თავზე მას უნდა ჰქონოდა გამოქვეყნებული მინიმუმ ერთი პუბლიკაცია. ასევე, არსებობდა სადოქტორო კოლოქვიუმები, სადაც მინიმუმ ორი კოლოქვიუმის ჩაუბარებლობის შემთხვევაში სტუდენტს უწყდებოდა სტატუსი.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან აფთარაშვილმა, დაწესებულებას კითხვით მიმართა სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სტუდენტთა თანაფარდობასთან დაკავშირებით. მისი თქმით, წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, საერთო თანაფარდობა შეადგენდა 1/8-ს. მას სურდა, დაწესებულებას სიღრმისეულად განემარტა აღნიშნული საკითხი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ დოკუმენტებში მითითებული იყო, თანაფარდობა დოქტორანტსა და ხელმძღვანელს შორის არ უნდა აღემატებოდეს 1/3-ს, თუმცა ჯამური რაოდენობა ხელმძღვანელებისა და სტუდენტების შეიძლებოდა ყოფილიყო 1/8, რაც მოიცავდა სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებსაც. დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ფაკულტეტზე გამოქვეყნებული იყო ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც დოქტორანტთა რაოდენობა არც ერთ შემთხვევაში არ აღემატებოდა 1/3-ს.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით თარხნიშვილმა აღნიშნა, რომ 1/8 თანაფარდობა მოიცავდა არა მხოლოდ დოქტორანტებს, არამედ მაგისტრანტებსაც. დოქტორანტები ასისტირებას უწევდნენ პროფესორებს მაგისტრანტებთან მუშაობის პროცესში.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, დაწესებულებას კითხვით მიმართა. მისი თქმით, მიღების პროცედურის დოკუმენტში ეწერა, რომ აპლიკანტს უნდა წარედგინა კვლევითი უნარების დამადასტურებელი დოკუმენტები. მას აინტერესებდა, მიიღებოდა თუ არა პროგრამაზე ისეთი აპლიკანტი, რომელსაც ჰქონდა მხოლოდ ბიოლოგიის მაგისტრის ხარისხი, მაგრამ არ გააჩნდა შესაბამისი კვლევითი ან პროფესიული გამოცდილება ბიომრავალფეროვნების, სოფლის მეურნეობის ან გარემოს დაცვის სფეროში. ასისტირებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შესაბამის დოკუმენტში ეწერა, დოქტორანტს სწავლის პერიოდში უნდა ეხელმძღვანელა ან თანაუხელმძღვანელა შესაბამისი მიმართულების საბაკალავრო ან სამაგისტრო საფეხურის

სტუდენტების მინიმუმ ერთ კვლევით პროექტზე. საბაკალავრო ნაშრომის თემასა და ხელმძღვანელს სტუდენტი ირჩევდა საკუთარი სურვილით. შესაბამისად, საბჭოს წევრს აინტერესებდა, როგორ უზრუნველყოფდა დოქტორანტი ამ ვალდებულების შესრულებას იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მას ხელმძღვანელად არ აირჩევდა. ასევე აინტერესებდა, სად და რა ფორმატში უნდა გაევლო დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს შესაბამისი სემინარი კომპეტენციის ამაღლებისა და დადასტურებისთვის, ან რომელი სტრუქტურული ერთეული იყო პასუხისმგებელი ამ ტრენინგის ორგანიზებაზე. ასევე, მოიცავდა თუ არა სემინარი სადოქტორო ნაშრომის კვლევითი ნაწილის მომზადებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სადოქტორო საფეხური, სამაგისტროსგან განსხვავებით, განიხილებოდა როგორც კვლევითი უნარების გასაღრმავებელი ეტაპი. შესაბამისად, დაწესებულება იღებდა იმ კანდიდატებს, რომლებსაც უკვე გააჩნდათ გარკვეული კვლევითი გამოცდილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით თარხნიშვილმა აღნიშნა, რომ ეკოლოგიაში ხარისხიანი სადოქტორო ნაშრომის მომზადებას სჭირდებოდა დაახლოებით ორი წელი. სტუდენტს, რომელიც არ იყო ჩართული სხვადასხვა კვლევით პროექტებში, გაუჭირდებოდა განსაზღვრული ვადების დაცვა. ასისტირებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ხელმძღვანელს ირჩევდა მაგისტრანტი ან პროფესორი, ხოლო დოქტორანტი ხელმძღვანელობდა ასისტირების პროცესს იმ შემთხვევაში, თუ უშუალოდ დოქტორანტი არ იყო არჩეული ბაკალავრის ან მაგისტრანტის მიერ. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს გააჩნდა ტრენინგ ცენტრი, რომელიც პერიოდულად უზრუნველყოფდა შესაბამის ტრენინგებს. გარდა ამისა, ცენტრი ატარებდა გამოკითხვებს ხელმძღვანელებისთვის, რათა დაედგინა, რა ტიპის პრობლემებს აწყდებოდნენ ისინი. თამარ ბარბაქაძემ ხაზი გაუსვა, რომ სემინარებში გათვალისწინებული იყო ის კვლევა, რომელიც დოქტორანტს თავდაპირველად ჰქონდა წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე. სემინართა კონცეფცია აღწერილი იყო სილაბუსებში, თუმცა სემინარი არ ფასდებოდა კრედიტებით.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 14:47**
**დასრულების დრო: 15:25**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციიის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე** - 11
**მოწინააღმდეგე** - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ -ე მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის"

ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 27 ივნისამდე.
საგანმანათლებლო დაწესებულების შეუამდგომლობის საფუძველზე აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2025 წლის 27 ივნისს.

**მეორე საკითხი:** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** ეკოლოგია;
**საფეხური:** მაგისტრატურა;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ეკოლოგიის მაგისტრი;
**დეტალური სფეროს კოდი:** 0521 გარემოსმცოდნეობა;
**სწავლების ენა:** ქართული;
**კრედიტების რაოდენობა:** 120;
**სტატუსი:** აკრედიტებული.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**
**თვითაცილება განაცხადეს ლევან შავაძემ და თეა მჭედლურმა.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**
**აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საკითხის განხილვას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან აფთარაშვილმა.**

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მლადენ ქრაიაჩიჩი (Mladen Krajacic) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს არ ესწრებოდა. მისი პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წერილის სახით თარჯიმანმა, ანა ადამიამ გააცნო.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, მაგდა დავითაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება არ ეთანხმებოდა პირველ რეკომენდაციას, რადგან ლაბორატორიული

მეცადინეობები ცალსახად იყო გაწერილი კვირების მიხედვით. რაც შეეხება პრაქტიკულ მეცადინეობებს, ისინი ცალკე არ იყო გამოყოფილი, ვინაიდან უშუალოდ უკავშირდებოდა სალექციო თემებს — ლექციაზე განხილული საკითხები ზუსტად იმეორებდა პრაქტიკული მეცადინეობის შინაარსს. გარდა ამისა, საუბარი ეხებოდა სამაგისტრო პროგრამას, და დაწესებულება მიიჩნევდა, რომ მაგისტრანტებთან თემების ასეთი დეტალიზაცია საჭირო არ იყო.

მეორე რეკომენდაციის თანახმად, პუბლიკაციების რაოდენობის შემცირება და ხარისხის გაძლიერება იყო რეკომენდებული, თუმცა დაწესებულება ამაზეც არ დაეთანხმა. აღინიშნა, რომ პუბლიკაციები ყოველთვის წარმოადგენდა სერიოზული კვლევითი პროექტების ნაწილს. უნივერსიტეტში ხორციელდებოდა როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ფუნდამენტური კვლევები, რაც ასახული იყო დასკვნის პროექტშიც. სტატიები გამოქვეყნებამდე გადიოდა მკაცრ შემოწმებას, რის გამოც დაწესებულება ვერ ეთანხმებოდა რეკომენდაციას ხარისხის გაუმჯობესების საჭიროებაზე.

რაც შეეხება რეკომენდაციას მაგისტრანტის ხელმძღვანელის უცხო ენის ცოდნასთან დაკავშირებით, აღინიშნა, რომ ვიზიტის დროს არ განხორციელებულა ინგლისური ენის დონის შემოწმება. პროფესორები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სამაგისტრო ნაშრომებს, იყვნენ მაღალი კვალიფიკაციის მქონენი და აქტიურად მონაწილეობდნენ უცხოურ კვლევით პროექტებში.

ლაბორატორიულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნდა კარგად მოწყობილი ლაბორატორიები და ადმინისტრაცია მუდმივად იყო ორიენტირებული მათ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვაზე. უნივერსიტეტს ამ მიზნით დახარჯული ჰქონდა დაახლოებით 2 მილიონი ლარი. დაწესებულების მფლობელობაში იყო სათბური — კვლევითი ნაკვეთი, სადაც მიმდინარეობდა პრაქტიკული საქმიანობა. ასევე, ცენტრალიზებულ ბიუჯეტში გამოყოფილი იყო ლაბორატორიის ხარჯები და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავდა მათ განვითარებაზე.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები და კითხვები.**

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა, დაწესებულებას კითხვით მიმართა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ორი უცხოელი პროფესორი იყო განსაზღვრული მაგისტრანტის ხელმძღვანელად. მას აინტერესებდა, ფლობდნენ თუ არა ისინი შესაბამის დონეზე ქართულ ენას.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, მაგდა დავითაშვილმა, განმარტა, რომ ინგლისური ენის B2 დონე წარმოადგენდა სამაგისტრო საფეხურზე ჩარიცხვის წინაპირობას. შესაბამისად, უცხო ენა დაბრკოლებას არ წარმოადგენდა.

სამჭოს წერმა, ქეთევან ნანობაშვილმა ასევე დასვა კითხვა აკადემიური პერსონალის დატვირთვასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, უზრუნველყოფდა თუ არა აკადემიური დატვირთვა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის სათანადო წარმართვას და იყო თუ არა აღნიშნული საკითხი ასახული ექსპერტთა რეკომენდაციაში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, მაგდა დავითაშვილმა აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის დატვირთვა მაღალი არ იყო — არც ერთ მათგანს არ ჰქონდა ოთხზე მეტი სასწავლო კურსი. შესაბამისად, ყველა პროცესი რეგულაციების დაცვით მიმდინარეობდა.

საბჭოს წევრმა, მაქსიმ იავიჩმა, ექსპერტებს კითხვით მიმართა და დაინტერესდა, რას ნიშნავდა იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიები.

ექსპერტმა, ინგა დიასამიძემ, განმარტა, რომ აღნიშნული სტატიები არ იძებნებოდა „Scopus“-ისა და „Web of Science“-ის ბაზებში, ასევე არც ეკოლოგიის მიმართულების სპეციალიზებულ ჟურნალებში, არამედ ზოგად გამოცემებშიც კი.

სხდომის თავმჯდომარემ, ქეთევან აფთარაშვილმა ექსპერტთა ჯგუფს კითხვით მიმართა ინგლისური ენის დონის რეკომენდაციის გაცემის საფუძველთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, რა იყო ამ რეკომენდაციის გაცემის მიზეზი.
ექსპერტმა, ინგა დიასამიძემ განმარტა, რომ CV-ში არ იყო მითითებული შესაბამისი ინფორმაცია, ხოლო ინტერვიუს დროს, როდესაც თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კითხვებს ინგლისურად დასვამდა, დაწესებულებამ აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა თარჯიმნის დახმარებით გაეწიათ კომუნიკაცია.
სხდომის თავმჯდომარემ, ქეთევან აფთარაშვილმა კვლავ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს კითხვით ლაბორატორიულ და მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, რატომ დარჩა ძალაში რეკომენდაცია, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ წარადგინა ვრცელი და არგუმენტირებული დოკუმენტი.
ექსპერტმა, ინგა დიასამიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა სამაგისტრო ნაშრომები, თუმცა მათში არ იყო ასახული ის ლაბორატორიები, რომლებიც ადგილზე ნახეს ექსპერტებმა. სწორედ ამიტომ გაიცა რეკომენდაცია.
საბჭოს წევრმა, მზია წიკლაურმა, აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო პრაქტიკული სამუშაოების ცალკე გაწერა, რადგან შეუძლებელი იყო ლექციაზე განხილული თემების იდენტურად გამეორება პრაქტიკულ მეცადინეობებზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტებს ლექციაზეც და ელექტრონულადაც ეგზავნებოდათ ინფორმაცია პრაქტიკულ სამუშაოებთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ისინი ინფორმირებულნი იყვნენ მოსამზადებელი საკითხების შესახებ.
საბჭოს წევრმა, ნარგული ასანიძემ, დაწესებულებას კითხვით მიმართა. როგორც აღინიშნა, უნივერსიტეტს ეზოში ჰქონდა მეტეოროლოგიური სადგური, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კვლევით საქმიანობაში. მას აინტერესებდა, იყო თუ არა საჭირო მიკრობიოლოგიისა და მოლეკულური ბიოლოგიის დამატება პროგრამაში.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, მაგდა დავითაშვილმა განმარტა, რომ მიკრობიოლოგიის კვლევის მეთოდები უკვე შედიოდა პროგრამაში და ამ თემებზე სწავლება ხორციელდებოდა. ცალკე საგნებად მათი გამოყოფა ვერ მოხერხდა, რადგან პროგრამა 120 კრედიტიანია.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 16:13**
**დასრულების დრო: 16:29**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციიის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე -** 11
**წინააღმდეგი -** 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ -ე მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ -ე მუხლის პირველი პუნქტის

„ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 27 ივნისამდე.
საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგლონლბის საფუძლეზე აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2025 წლის 27 ივნისს.

**მესამე საკითხი:** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** ეკოლოგია;
**საფეხური:** ბაკალავრიატი;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ეკოლოგიის ბაკალავრი;
**დეტალური სფეროს კოდი:** 0521 გარემოსმცოდნეობა;
**სწავლების ენა:** ქართული;
**კრედიტების რაოდენობა:** 240;
**სტატუსი:** აკრედიტებული.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**
**თვითაცილება განაცხადეს ნარგულ ასანიძემ და თეა მჭედლურმა.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთ აჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ალა ალექსანიანმა (Alla Aleksanyan) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და შეფასებები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.**

ბსუ-ს ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ვლადიმერ ღლონტი, მიესალმა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება დადებითად აფასებდა ექსპერტთა მიერ მომზადებულ დასკვნასა და მადლობას უხდიდა მათ გაწეული შრომისთვის. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დასკვნის პროექტში წარმოდგენილი რეკომენდაციების ნაწილი მოიხსნა არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემდეგ. რაც შეეხება დარჩენილ რეკომენდაციებს, დაწესებულება სრულად იზიარებდა მათ და მზად იყო განეხორციელებინა ყველა შესაბამისი ცვლილება.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები და კითხვები.**

საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ მოსაზრებები და კითხვები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, რადგან ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნა და არგუმენტირებული პოზიცია იყო დეტალური და დამატებითი გარემოებების გამოკვლევას არ საჭიროებდა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 16:45**
**დასრულების დრო: 16:53**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის "საბაკალავრო" საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 ვადით (2032 წლის 27 ივლისამდე), 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე** - 11
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ -ე მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის "საბაკალავრო" საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 27 ივნისმადე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგლონლბის საფუძველზე აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2025 წლის 27 ივნისს.

**მეოთხე საკითხი:** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** ეკოლოგია;

**საფეხური:** ბაკალავრიატი;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ეკოლოგიის ბაკალავრი;
**დეტალური სფეროს კოდი:** 0521 გარემოსმცოდნეობა;
**სწავლების ენა:** ქართული;
**კრედიტების რაოდენობა:** 240;
**სტატუსი:** აკრედიტებული.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**
**თვითაცილება განაცხადა თამარ ზარანდიამ.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ალა ალექსანიანმა (Alla Aleksanyan) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და შეფასებები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.**
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რომეო გალადავამ, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მზადა იყო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ყველა საჭირო ნაბიჯების გადადგმისათვის.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ მოსაზრებები და კითხვები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, რადგან ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნა და არგუმენტირებული პოზიცია იყო დეტალური და დამატებითი გარემოებების გამოკვლევას არ საჭიროებდა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 16:58**
**დასრულების დრო: 17:14**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე** - 12
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ -ე მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 27 ივნისამდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის საფუძვლეზე აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2025 წლის 27 ივნისს.

**მეხუთე საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “მთის სოფლის მდგრადი განვითარების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარება;
**საფეხური:** ბაკალავრიატი;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** გარემოსმცოდნეობის ბაკალავრი;
**დეტალური სფეროს კოდი:** 0521 გარემოსმცოდნეობა;
**სწავლების ენა:** ქართული;
**კრედიტების რაოდენობა:** 240;
**სტატუსი:** აკრედიტებული.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**
**თვითაცილება განაცხადა დავით კაპანაძემ.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რიმა ისაიფანმა (Rima Isaifan) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და შეფასებები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.**
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ივანე ჯაგოდნიშვილმა აღნიშნა, რომ მდგრადობასა და სინქრონთან დაკავშირებული რეკომენდაცია დაწესებულებას ნაწილობრივ უკვე ჰქონდა შესრულებული. რაც შეეხება პრაქტიკულ კომპონენტს, უნივერსიტეტი მას სრულად იზიარებდა. მან ასევე აღნიშნა რომ ფაკულტეტს გააჩნდა თანამედროვე ულტრა, გეოსაინფორმაციო სისტემების, დისტანციური ზონდირების და წინასწარი შეტყობინებების ლაბორატორია, ასევე ეკიპირებული აუდიტორია. ამ მიმართულებით ჩამოყალიბებული იყო საინფორმაციო ცენტრი, რომელიც წარმოადგენდა პროგრამული მიმართულების ერთეულს და მისით სარგებლობა შესაძლებელი იყო არა მხოლოდ ტექნიკური უნივერსიტეტის, არამედ სხვა დაწესებულებების სტუდენტებისთვისაც. ივანე ჯაგოდნიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა უკვე მეხუთე წელია ხორციელდებოდა და დაწესებულება მუდმივად იყო ორიენტირებული თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად განვითარებაზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს თვმჯდომარემ, ლევან შავაძემ, დაწესებულებას კითხვით მიმართა საველე პრაქტიკებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული პრაქტიკა იყო 10 კრედიტიანი და აინტერესებდა, შინაარსობრივად რამდენად შეესაბამებოდა კურსი კრედიტების რაოდენობას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრაქტიკის კომპონენტის სრულად ათვისება და მიწოდება რთული პროცესია, ამიტომ ამ ეტაპისთვის კრედიტების რაოდენობა შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად.
საბჭოს წევრმა, ნარგული ასანიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენად იყო გათვალისწინებული საველე კომპონენტი აკადემიურ შეფასებაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საველე პრაქტიკების შეფასება გათვალისწინებული იყო და ასახული იყო შეფასების სისტემაში.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 17:39**
**დასრულების დრო: 18:14**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “მთის სოფლის მდგრადი განვითარების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით (2032 წლის 27 ივნისი) 2 წლისთავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე** - 12
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ$^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “მთის სოფლის მდგრადი განვითარების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2032 წლის 27 ივნისი) 2 წლისთავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.
საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგლონლბის საფუძლეზე აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2025 წლის 27 ივნისს.

**მეექვსე საკითხი:** შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** სამართალი;
**საგანმანათლებლო პროგრამის ყოფილი დასახელება:** "შედარებითი და კომერციული სამართალი"
**საფეხური:** მაგისტრატურა;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სამართლის მაგისტრი;
**დეტალური სფეროს კოდი:** 0421 სამართალი;
**სწავლების ენა:** ქართული;
**კრედიტების რაოდენობა:** 120;
**სტატუსი:** აკრედიტებული, 2020 წლის 06 აგვისტოს N670727 გადაწყვეტილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**
**თვითაცილება განაცხადა ქეთევან ნანობაშვილმა.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულე ბასთან.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტმა, ილია წიკლაურმა, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული მიგნებები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა გვრიტიშვილმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულება ორიენტირებული იყო მუდმივ განვითარებაზე. უნივერსიტეტი იზიარებდა არსებულ რეკომენდაციებს და ახალი სასწავლო წლისთვის ყველა საკითხი მოწესრიგებული იქნებოდა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ, აღნიშნა, რომ პროგრამაში ფიგურირებდა მხოლოდ ინგლისური ენა და აინტერესებდა, ხდებოდა თუ არა სტუდენტთა მიღება სხვა უცხო ენითაც. ასევე, მას აინტერესებდა, იყო თუ არა პროგრამაში ჩადებული სამაგისტრო ნაშრომის დაცვის მექანიზმები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში ნამდვილად არსებობდა გასაჩივრების მექანიზმი. სტუდენტს, პირველ რიგში, უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, რომ თავისი ნაშრომი გადაესინჯა. აღნიშნული მექანიზმები განთავსებული იყო დაწესებულების ვებ-გვერდზე. რაც შეეხება ენის საკითხს, სამართლის პროგრამა, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე, იყო ქართულენოვანი. შესაბამისად, ინგლისური ენის დაშვებით გათვალისწინებული იყვნენ უცხოენოვანი სტუდენტებიც.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 18:37**
**დასრულების დრო: 18:41**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე** - 12
**წინააღმდეგი** - 0

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შეწყდეს არაგეგმურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭო დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 27 ივნისის 18:45 სთ-ზე.**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე